Тбилисский ... Библиотека

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1939 წ. აპრილის 10 № 9 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

38. დაფნის ფოთლის დამზადების გეგმის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

39. აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების 1939 წლის გეგმის შესახებ.

40. „განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

41. საქართველოს სსრ ქალაქებში, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში საბინაო და კომუნალური მეურნეობის ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების დებულების დამტკიცების შესახებ:

დებულება საქართველოს სსრ ქალაქებში, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში საბინაო და კომუნალური მეურნეობის ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

38. დაფნის ფოთლის დამზადების გეგმის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 3 დეკემბრის დადგენილებისა „1938 წლის მოსავლის დაფნის ფოთლის დამზადების გეგმის შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ, № 9, მუხლი 46.), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს ტყიბულის რაიონში დაფნის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა (1938 წ. ოქტომბერი—1939 წ. ოქტომბერი) 2,5 ტონის რაოდენობით, ამასთან გადიდდეს დამზადების გეგმა ზუგდიდის რაიონში 0,5 ტონით და ხობის რაიონში—1 ტონით.

2. მუხ. 1-ის შესაბამისად, დაწესდეს ცალკეული რაიონების მიხედვით დაფნის ფოთლის დამზადების შემდეგი საკვარტალო გეგმა (იხ. დანართი).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. მარტის 13. № 430.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა დანართი

გ ე გ მ ა

დაფნის ფოთლის დამზადებისა 1938 წლის IV კვ.—1939 წლის IV კვ. სეზონისათვის (ტონებში)

რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	დამზადების წლიური გეგმა	აქ. ე დ ა ნ		
		1938 წ. IV კვ.	1939 წ. I კვ.	1939 წ. II კვ.
1. აფხაზეთის ასსრ	50,0	5,0	30,0	15,0
2. აჭარის ასსრ	5,0	0,5	3,0	1.5
3. ზუგდიდის	175,5	30,0	80,0	65,5
4. აბაშის	12,0	2,0	6,0	4,0
5. გეგეჭკორის	12,0	1,0	10,0	1,0
6. ჩხოროწყუს	10,0	1,0	7,0	2,0
7. წალენჯიხის	5,0	1,0	3,0	1,0
8. ფოთის	6,0	0,5	3,0	2,5
9. ქუთაისის	40,0	5,0	20,0	15,0
10. ჩხარის	2,0	0,2	1,6	0,2
11. ზესტაფონის	2,0	0,5	1,0	0,5
12. ბაღდადის	3,0	0,5	2,0	0.5
13. წულუკიძის	7,0	1,0	4,0	2,0
14. სამტრედიის	45,0	5,0	25,0	15,0
15. ვანის	80,0	10,0	45,0	25,0
16. ლანჩხუთის	30,0	2,0	18,0	10,0
17. მახარაძის	8,0	0,5	4,0	3,5
18. ჩოხატაურის	14,0	1,0	6,0	7,0
19. ტყიბულის	2,5	0,3	1,4	0,8
20. ხობის	245,0	40,0	110,0	95,0
21. ცხაკაიას	46,0	6,0	25,0	15,0
სულ საქ. სსრ-ში . . .	800	113,0	405,0	282,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების 1939 წლის გეგმის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1939 წლის 5 მარტის დადგენილებისა „აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების 1939 წლის გეგმის შესახებ“ (სსრ კავშირის დადგ. კრ. 1939 წ. № 18, მუხ. 120) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს 1939 წლის მოსავლის ყველა გამოკვების აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა 39,300 ცენტნერის რაოდენობით ერთი კოლოფი თესლიდან 43,7 კილოგრამი პარკის საშუალო გამოსავლით.

2. დამტკიცდეს გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა 35.100 ცენტნერის რაოდენობით, აბრეშუმის თესლის რეალიზაციის გეგმა 78.000 კოლოფი ერთი კოლოფი თესლიდან 45 კილოგრამი პარკის საშუალო გამოსავლით.

3. დამტკიცდეს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებში აბრეშუმის თესლის რეალიზაციის შემდეგი განაწილება, ერთი კოლოფი თესლიდან პარკის საშუალო გამოსავალი და 1939 წლის გაზაფხულის გამოკვების პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა (იხ. დანართი).

4. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან და საქაბრეშუმტრესტთან ერთად 1939 წლის 20 მაისისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს განმეორებითი გამოკვების პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების რაიონობრივი გეგმა.

5. წინადადება მიეცეს საქაბრეშუმტრესტს 1939 წლის 25 მარტისათვის დაამთავროს საგაზაფხულო გამოკვების აბრეშუმის პარკის კონტრაქტაცია.

6. შენარჩუნებულ იქნას 1939 წლისათვის 1938 წელს მომქმედი ფულადი ავანსების გაცემის ოდენობა, პარკის ჩამბარებლებზე პარკის გეგმის ზევით ჩაბარებისათვის ჯილდო-წანამატების მიცემის წესი, გაცემული ჯილდო-წანამატების მრეწველობის მიერ დაფარვის წესი.

7. პარკის ჩამბარებლებისათვის აბრეშუმის საქონლის მიყიდვა მოხდეს სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით მას შემდეგ, რაც მეაბრეშუმეები წარადგენენ დამამზადებელი პუნქტების მიერ გაცემული მისაღები ორდერების ასლებს, მათ მიერ ჩაბარებული პარკის ღირებულების 45% რაოდენობით (ნაცვლად 20%-სა, რაც 1938 წელს ეძლეოდათ).

ამის შესაბამისად წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს უზრუნველჰყოს აბრეშუმის საქონლის შეტანა მეაბრეშუმეობის რაიონებში საჭირო რაოდენობითა და ასორტიმენტით.

8. მეაბრეშუმეებისათვის თესლის მიცემა საგაზაფხულო და საზაფხულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშემოდგომო გამოკვებისათვის მოხდეს ინკუბირებული სახით (ჭიებად) შემდეგი ანგარიშით: 17,5 გრამი ჭია, ნაცვლად ერთი 25 გრამიანი კოლოფისა.

9. მეაბრეშუმეებისათვის აბრეშუმის თესლის (ჭიების) მიყიდვა მოხდეს ნისიად აბრეშუმის პარკის ჩაბარებამდე სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებში.

დაევალოს სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორას მისცეს საქაბრეშუმტრესტს საჭირო კრედიტები 1939 წელს აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა, დამზადებისა და პირველადი გადამუშავებისათვის წლიური 3%-ის გადახდევინებით.

10. თუთის აბრეშუმის ჭიის ეპიზოტიური დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, აიკრძალოს სახლში დამზადებული თესლის წარმოება, გაყიდვა და გამოცოცხლება.

დაევალოს საქაბრეშუმტრესტს უკეთუ აღმოჩენილ იქნა სახლში დამზადებული თესლიდან გამოყვანილი თუთის აბრეშუბის ჭია, მოსპოს იგი.

11. დაევალოს საქაბრეშუმტრესტს:

ა) მოამარაგოს მეაბრეშუმეები ამღებებით, საფენი ქაღალდით, ფორმალინით, კირით, მეაბრეშუმეობის წვრილი ინვენტარით თვითღირებულების ფასებში ნისიად აბრეშუმის პარკის ჩაბარებამდე.

ბ) ერთი დეკადის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარმოუდგინოს ყველა საკითხი აბრეშუმის პარკის მისაღებად და გადასამუშავებლად საჭირო დამამზადებელ-ტექნიკური ბაზის მომზადებისათვის.

12. იმ მიზნით, რომ მეაბრეშუმეებისათვის ჭიების მიცემისას მოეწყოს სათანადო საზოგადოებრივი კონტროლი, დაევალოს მეაბრეშუმეობის რაიონების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოჰყონ და ჭიების დარიგების პერიოდისათვის მიამაგრონ თითოეულ საინკუბაციო კამერას გამოცდილი მოწინავე მეაბრეშუმეები.

13. დაწესდეს, რომ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებანი, როგორც წესი, უნდა დაიდოს მხოლოდ ოჯახის ერთერთ წევრთან, ამასთან არ იქნას დაშვებული ხელშეკრულებათა დადება ოჯახის რამდენიმე წევრთან.

საქაბრეშუმტრესტმა უზრუნველჰყოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდევინება იმ მეაბრეშუმეებისაგან, რომლებიც არ ასრულებენ პარკის ჩაბარების დაწესებულ გეგმებს.

14. დაევალოს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქაბრეშუმტრესტს მეაბრეშუმეებთან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადების დროს ფართოდ განუმარტონ მათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მეაბრეშუმეები არ შეასრულებენ ხელშეკრულებებს, მათ გადახდებათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო ხოლო უკეთუ ისინი შეეცდებიან გააერთიანონ აბრეშუმის პარკის პარტიები ან ჩააბარონ სახლში მომზადებული თესლიდან მიღებული აბრეშუმის პარკი უკანონო ჯილდო-წანამატების მიღების მიზნით, მათ წაერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევათ ჯილდო-წანამატების მიღების უფლება და ამას გარდა მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

15. წინადადება მიეცეს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქაბრეშუმტრესტს ფართოდ გაავრცელონ და გამოიყენონ მოწინავე ქისტ მეაბრეშუმეთა გამოცდილება რათა საქართველოს სსრ ყველა რაიონის მეაბრეშუმე მასები დაეუფლონ მას.

ამ მიზნით საქაბრეშუმტრესტმა ქისტ მეაბრეშუმეთა რიცხვიდან გამოჰყოს ინსტრუქტორები და გაგზავნოს ისინი მეაბრეშუმეობის დანარჩენ რაიონებში მეაბრეშუმეთა შორის მათი გამოცდილების დასანერგავად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ძირითად ამოცანად სახავს რაიონების ხელმძღვანელი, სამიწათმოქმედო და დამამზადებელი ორგანიზაციების წინაშე რათა მეაბრეშუმეობის ყველა სტადიის (კონტრაქტაცია, თესლის ინკუბაცია, ჭიების სწორად დარიგება, მათი მოვლა, აბრეშუმის პარკის ჩაბარების ორგანიზაცია) ზუსტად და დროულად ჩატარების და მეაბრეშუმეობის მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვის საფუძველზე, მათ მიაღწიონ 1939 წელს პარკის დამზადების გეგმების არამარტო მთლიანად შესრულებას არამედ ამ გეგმების გადაჭარბებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. მარტის 15. № 433.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ე გ მ ა

1939 წლის გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციისა და დამზადებისა

ავტონომიური რესპუბლიკებისა და რაიონების დასახელება	აბრეშუმის თესლის რეალიზაციის გეგმა (კოლოფობით)	ერთი კოლოფი თესლიდან პარკის ჩაბარების საშუალო ნორმა კილოგრამობით	პარკის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმა ცენტნერობით
1. თბილისის	260	40	104,0
2. საგარეჯოს	160	38	60,8
3. ბორჩალოს	315	39	122,8
4. ლუქსემბურგის	120	42	50,4
5. გორის	90	36	32,4
6. ხაშურის	50	36	18,0
7. კასპის	200	40	80,0
8. გურჯაანის	850	49	416,5
9. სიღნაღის	700	50	350,0
10. წითელწყაროს	180	49	88,2
11. ლაგოდეხის	1450	44	638,0
12. თელავის	1520	48	729,6
13. ყვარლის	1650	42	693,0
14. ზესტაფონის	1600	50	800,0
15. ორჯონიკიძის	425	48	204,0
16. ჭიათურის	375	40	150,0
17. ჩხარის	1480	45	666,0
18. ქუთაისის	5000	58	2900,0
19. ტყიბულის	170	54	91,8
20. ბაღდადის	1050	45	472,5
21. სამტრედიის	5700	48.5	2764,5
22. წულუკიძის	4350	49	2131,5
23. ვანის	3750	45	1687,5
24. აბაშის	3950	43	1698,5
25. ცხაკაიას	3450	41,5	1431,8
26. ფოთის	425	42	178,5
27. გეგეჭკორის	4645	43	1997,3
28. ზუგდიდის	5350	46	2461,0
29. ხობის	2700	41	1107,0
30. წალენჯიხის	2100	43	903,0
31. ჩხოროწყუს	3130	44	1377,2
32. მახარაძის	4150	45	1784,5
33. ლანჩხუთის	4500	42	1890,0
34. ჩოხატაურის	3300	43	1419,0
35. ამბროლაურის	415	39	161,8
36. ცაგერის	710	39	276,9
37. აჭარის ასსრ	730	40	292,0
38. აფხაზეთის ასსრ	7000	41	2870,0
სულ საქართველოს სსრ-ში	78000	45	35100,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

40. „განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე“ გამოცემულ დადგენილების შეცვლის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებისა „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1937 წ. № 69, მუხ. 314), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნას საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 16 ივნისის დადგენილებაში „განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ უვადო სარგებლობის უფლებით მიწის ნაკვეთების გადაცემის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 23, მუხ. 191; 1935 წ. № 14 მუხ. 76; 1938 წ. № 16, მუხ. 79) შემდეგი ცვლილებანი:

ა) მუხლები 14 და 15 გაუქმდეს;

ბ) მუხლები 17 და 19 მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„17. საცხოვრებელი ფართობის მიცემის მოვალეობა (მუხ. 16) ეკისრება მიწის ნაკვეთის უვადო მოსარგებლეს“.

„19. არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირას როგორც უვადო სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობებში (მათ აღებამდე), ისე ამ ნაკვეთებზე ახლად აშენებულ შენობებშიც გადაახდევინებს უვადო მოსარგებლე იმ ტარიფით, რაც დაწესებულია ადგილობრივი საბჭოების მიერ არასაცხოვრებელი სადგომებისათვის ადგილობრივი საბჭოების კუთვნილ სახლებში. საიჯარო ქირის 5% ჩაირიცხება სახლის საერთო შემოსავალში მისი შენახვის ხარჯების დასაფარავად, ხოლო 95% იმ საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად, რომელიც უვადო მოსარგებლეს ეკუთვნის“.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. მარტის 21. № 465.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

41. საქართველოს სსრ ქალაქებში, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში საბინაო და კომუნალური მეურნეობის ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას დებულება საქართველოს სსრ ქალაქებში მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში საბინაო და კომუნალური მეურნეობის ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების შესახებ.

2. გაუქმებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ ქალაქ ადგილებში და მუშათა საკურორტო და სააგარაკო დაბებში, მიწების, შენობებისა და კომუნალური ნაგებობების ინვენტარიზაციის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. 8 დეკემბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 4, მუხ. 25).

3. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფი დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ნუსხას (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 30, მუხ. 176; 1937 წ. № 4, მუხ. 30) დაემატოს პუნქტი 16 შემდეგი შინაარსისა:

№№ რიგ.	სახსრების წყაროები	სახსრების დანიშნულება
16.	მიზნობრივი გამოსაღები ქალაქებში, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში საბინაო და კომუნალური მეურნეობის ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების სამუშაოთა ასანაზღაურებლად.	ქალაქებში, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში საბინაო და კომუნალური მეურნეობის ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების სამუშაოთა საწარმოებლად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ხოშტარია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. **ი. შელეგია.**

1939 წ. მარტის 21. № 468.
თბილისი.

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ ქალაქებში, მუშათა, საკუროორტო და სააგარაკო დაბებში საბინაო და კომუნალური მეურნეობის ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების შესახებ.

1. ზოგადი დებულებანი.

1. იმ მიზნით, რათა სწორად იქნას დაყენებული საქართველოს სსრ ქალაქებში, მუშათა, საკუროორტო და სააგარაკო დაბებში საბინაო და კომუნალური მეურნეობის ქონების (მიწების, შენობათა და ნაგებობათა) გამგებლობა და გამოყენება ჩატარებულ უნდა იქნეს აღნიშნული ქონების მთლიანი ტექნიკური აღრიცხვა და შეფასება ამ დებულებით დაწესებულ საფუძველზე.

2. ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების ჩატარებამ უნდა უზრუნველჰყოს საქალაქო (სადაბო) მეურნეობის მმართველობის ორგანოები ზუსტი სააღრიცხვო-ტექნიკური ცნობებითა და დოკუმენტებით შემდეგი საკითხების გადასაჭრელად:

ა) არსებული ქონების ტექნიკური მდგომარეობა და კუთვნილება;

ბ) ქონების ღირებულების შეტანა სახალხო მეურნეობის საერთო ბალანსში;

გ) ქონების ყოველწლიური ამორტიზაციის თანხების გამორკვევა;

დ) იმ გადასახადებისა და მიწის რენტის ოდენობის გამორკვევა, რაც საქალაქო (სადაბო) ქონებას გადახდება;

ე) ქონების სახელმწიფო დაზღვევა;

ვ) სააღრიცხვო-ტექნიკური ცნობების დარგში სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

3. იმ მიზნით, რომ ქონების აღრიცხვა და შეფასება თანადროული მონაცემების დონეზე იყოს დაყენებული, ერთდროული და მთლიანი ძირითადი აღრიცხვის შემდეგ ხდება ქონების შემადგენლობასა, მდგომარეობასა და შეფასებაში მომხდარ შემდგომ მიმდინარე ცვლილებათა აღრიცხვა.

4. ქალაქებში, მუშათა, საკუროორტო და სააგარაკო დაბებში საბინაო—და კომუნალური მეურნეობის ქონების ძირითადი და მიმდინარე ტექნიკურ აღრიცხვასა და შეფასებას, ვის გამგებლობაში ან სარგებლობაშიაც არ უნდა იყოს ეს ქონება, ანხორციელებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კომუნალური განყოფილებანი საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით.

5. ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების დროს ამ ქონების მფლობელნი და მოსარგებლენი მოვალენი არიან წარუდგინონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კომუნალურ განყოფილებებს, მათი მოთხოვნის თანახმად, დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ იმ ქონების მფლობელობის ან სარგებლობის უფლებას, რომლის აღრიცხვა და შეფასება ხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების ობიექტები.

6. ამ დებულების წესისამებრ ტექნიკურად აღრიცხული და შეფასებული უნდა იქნას:

ა) უკლებლივ ყველა მიწები ქალაქის (დაბის) მიჯნის ფარგლებში როგორც შენობიანი ისე უშენობო ვის გამგებლობაშიაც ან სარგებლობაშიაც არ უნდა იმყოფებოდნენ ეს მიწები;

ბ) ყველა საცხოვრებელი, საკანტორო-სადაწესებულებო, სავაჭრო-სასაწყობო, სოციალურ-კულტურული და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობანი მათი კუთვნილი დამხმარე შენობებითა და ნაგებობებით, რომლებიც მათ მომსახურებას უწევენ;

გ) საქალაქო კეთილმოწყობის ნაგებობანი გზების, ხიდებისა და მიწის მეურნეობის, ქუჩის განათების და სხვ. დარგში;

დ) კომუნალური საწარმოები-ელექტროსადგურები, საქალაქო ტრანსპორტი, წყალსადენი, კანალიზაცია, აბანოებისა და სამრეცხაოების მეურნეობა და დანარჩენი კომუნალური სამრეწველო, საყოფაცხოვრებო და დამხმარე საწარმოები;

ე) კომუნალური საწარმოების მოწყობილობა: მექანიკური და ძალოვანი დანადგარები, აგრეთვე სამუშაო და სამეურნეო ინვენტარი.

შენიშვნა: 1. მე-17 მუხლის შესაბამისად მიწების შეფასება არ სწარმოებს.

შენიშვნა: 2. იმ მიწების აღრიცხვა, რომლებიც განკუთვნილი აქვს რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტს, რაც მომსახურებას უწევს თავდაცვის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატების შენობებსა და ნაგებობებს აგრეთვე საკავშირო და რესპუბლიკური ქვემდებარეობის სამრეწველო საწარმოებს, არ სწარმოებს.

შენიშვნა: 3. ამ დებულების წესისამებრ არ უნდა იქნას აღრიცხული და შეფასებული ის შენობები, რომლებიც საკავშირო და რესპუბლიკური ქვემდებარეობის სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებს ეკუთვნიან.

III. ქონების ტექნიკური აღრიცხვა.

7. ქონების ტექნიკური აღრიცხვა გულისხმობს:

ა) არსებული ქონების ადგილმდებარეობისა და კუთვნილების გამორკვევას;

ბ) მის აღწერას უმნიშვნელოვანესი სამეურნეო, ტექნიკური და კონსტრუქტიული ნიშნების მიხედვით;

გ) აღრიცხვის მომენტში მისი ტექნიკური მდგომარეობისა და გაცვეთის მეტნაკლებობის გამორკვევას.

8. ქონების ტექნიკური აღრიცხვა სწარმოებს ნატურაში მისი უცილობლივი გამოკვლევით და შენობებისა და ნაგებობათა აღრიცხვის, დაპროექტებისა და მშენებლობის დროს მთელი წინათ ჩატარებული სამუშაოების მასალების გამოყენებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ყველა იმ მასალის შენახვა, რომლებიც ქონების ტექნიკურ მდგომარეობას ახასიათებენ, კერძოდ, არქიტექტურულ-სამშენებლო, გეოდეზიური არქივების შენახვა, ეკისრება ტექნიკური აღრიცხვის ორგანოებს ქალაქებში.

9. ქალაქებში, მუშათა, საკურორტო და საგარაკო დაბებში მთლიან ტექნიკურ აღრიცხვასთან ერთად ან ამ აღრიცხვისთანავე ქონების ზუსტი ადგილმდებარეობის გამორკვევის მიზნით ჩატარებულ იქნას სახლმფლობელობათა საერთო საქალაქო ნუმერაციის, გასასვლელთა დასახელების გასწორება გეგმების მიხედვით და ნატურაში და სხვა.

10. ქონების ტექნიკური აღწერის დროს, რაც დაწესებული ფორმის ტექნიკური აღრიცხვის აღწერილობებისა და გეგმების მიხედვით სრულდება, აღინიშნება:

ა) მიწების მიმართ ნაკვეთების საზღვრები, მათი განფენილობა, ფართობი, გამოყენების ფორმები (ადგილ-მამულის სახე);

ბ) შენობების მიმართ გამოყენების დანიშნულება და ხასიათი, სართულების რიცხვი, სადგომებისა და შენობების ფართობი მთლიანად, მოცულობა, მასალა, ძირითადი ელემენტების (საძირკვლის, გადახურვისა და იატაკების, სახურავების, და სხვა) კონსტრუქცია და მოპირკეთება, შინაგანი კეთილმოწყობის ელემენტების (წყალსადენი, კანალიზაცია, განათება) არსებობა გათბობის სისტემა, აშენების წელი და გაცვეთის მეტნაკლებობა აღრიცხვის მომენტში;

გ) ნაგებობათა მიმართ: ნაგებობათა დანიშნულება, მასალა, კონსტრუქცია და ზომა, აშენების და ექსპლოატაციის დაწყების წელი, ტექნიკური მდგომარეობა და გაცვეთის მეტნაკლებობა;

დ) კომუნალურ საწარმოთა მოწყობილობის მიმართ: მოწყობილობის საგნებისა და ინვენტარის დასახელება და დანიშნულება, მასალა სისტემა, ტიპი, საფაბრიკო ნომერი, საწარმოო სიმძლავრე, ზომა, წონა, სათბობის სახე, დამზადებისა და ექსპლოატაციის დაწყების წელი, ტექნიკური მდგომარეობა და გაცვეთის მეტნაკლებობა.

აღრიცხვაში ერთსახეობის მიღწევის მიზნით, ზემოთაღნიშნული ნიშნების ჩამოთვლა სავალდებულოა, მაგრამ ადგილობრივი პირობების მიხედვით შეიძლება შევსებულ იქნას სხვა ნიშნებითაც, რაც საჭიროა სათანადო ობიექტების სრული ტექნიკური დახასიათებისათვის.

11. ქონების ტექნიკური აღრიცხვა დამთავრდება აღრიცხვის მონაცემების საერთო ჯამობრივი ნაკრები ცნობის შედგენით თითოეული ქალაქის, მუშათა, საკურორტო ან საგარაკო დაბის მამართ, აღრიცხვის დამთავრების მომენტისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით.

12. ტექნიკური აღრიცხვის მეთოდებსა და ფორმებს ამ დებულების საფუძველზე შეიმუშავებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. შეფასების მეთოდები.

13. ქონების შეფასება იმაში მდგომარეობს, რომ გამოირკვეს მისი ღირებულება აღრიცხვის მოხდენის მომენტისათვის მომქმედ ფასებში.

ამის შესაბამისად, ქონების შეფასების დროს გამოირკვევა:

ა) პირვანდელი ღირებულება და ბ) ნამდვილი ღირებულება აღრიცხვის მომენტში.

14. შენობათა და ნაგებობათა პირვანდელი ღირებულება გამოირკვევა იმის მიხედვით, თუ რა ღირს მათი აგება აღრიცხვის მომენტში, რისთვისაც ანგარიშში მიღებულ უნდა იქნას ერთიდაიმავე ტიპის შენობათა და ნაგებობათა განზომილების საშუალო სამშენებლო ღირებულება.

15. სამრეწველო ნაწარმის ხასიათის მქონე სხვადასხვა მოწყობილობისა და ინვენტარის (მანქანები, დაზგები ინსტრუმენტები და სხვ.) პირვანდელი ღირებულება გამოირკვევა სათანადო ახალი ქონების ღირებულების მიხედვით მომქმედ ფასებში, ამასთან დამხმარე გამართულობათა და ხელსაწყოთა (ღვედი, საძირკველი და სხვ.) პირვანლელი ღირებულება უნდა აღინიშნოს თითოეული მანქანისა და მოწყობილობისათვის ცალცალკე.

შენიშვნა: 1. მოწყობილობის საგნების ფასი გამოირკვევა იმ სახელმწიფო საწარმოთა არსებული პრეისკურანტების მიხედვით, რომლებიც ამ მოწყობილობას ამზადებენ.

შენიშვნა: 2. მოწყობილობის საგნების შეფასების დროს მის ღირებულებაში შეტანილ უნდა იქნას მის მიტანასა და დადგმაზე გაწეული ხარჯები, ამასთან როგორც პირველის, ისე მეორის ღირებულება უნდა აღინიშნოს შესაფასებელი საგნის ღირებულების განცალკევებით.

16. ცოცხალი ინვენტარის ღირებულება გამოირკვევა აღრიცხვის მომენტში არსებული საშუალო-წლიური ადგილობრივი დასამზადებელი ფასების საფუძველზე.

17. მიწის ქონება, აგრეთვე სატყეოები და სათევზაოები და მიწის წიაღის საბადოები, როგორც ბრუნვიდან ამოღებული, შეფასებული არ უნდა იქნას.

18. ქონების ნამდვილი ღირებულება აღრიცხვის მომენტისათვის გამოირკვევა იმის მიხედვით თუ პირვანდელი ღირებულება რა თანხით შემცირდა ქონების ტექნიკურ გაცვეთასთან დაკავშირებით.

19. ქონების შეფასება, რაც ძირითადი ტექნიკური აღრიცხვის ჩატარების დროს არის გამორკვეული ყოველწლიურად უნდა იქნას შედარებული ადგილობრივ პირობებში მომქმედ ფასების ინდექსთან, ამასთან უკეთუ ფასების განსხვავება 10%-ს აღემატება და ამას ოპერატიული საჭიროება მოითხოვს, განსხვავება ასახულ უნდა იქნას ქონების შეფასებაში, რაც შესწორებითი კოეფიციენტების საშუალებით დაყვანილ უნდა იქნას თანადროულ ფასებთან.

ფასების ინდექსის შეცვლის გამო ქონების შეფასების შესწორებითი კოეფიციენტების შემუშავებას აწარმოებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი საბჭოების კომუნალური განყოფილებანი საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მეთვალყურეობით, მათი შემდგომი დამტკიცებით მშრომელთა დეპუტატების სათანადო ადგილობრივი საბჭოების მიერ.

V. ძირითადი ტექნიკური აღრიცხვის ჩატარების ვადები.

20. ქონების ძირითადი აღრიცხვა და შეფასება საქართველოს სსრ ქალაქებში, მუშათა, საკუროორტო და სააგარაკო დაბებში უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 1941 წლის 1 იანვრისა.

21. ქალაქებში, მუშათა, საკუროორტო და სააგარაკო დაბებში ქონების ძირითადი ტექნიკური აღრიცხვის და შეფასების ჩატარების შემდეგ არ შეიძლება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილების გარეშე ქონების მასობრივი ხელახალი აღრიცხვა და გადაფასება ნატურიდან მეურნეობის სხვადასხვა მიზნებისათვის, გარდა მიმდინარე ცვლილებათა აღრიცხვისა.

VI. ტექნიკური აღრიცხვის სამუშაოთა დაფინანსების წყაროები.

22. ქალაქებში, მუშათა, საკუროორტო და სააგარაკო დაბებში საბინაო და კომუნალური მეურნეობის იმ ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების ხარჯები, რომელიც იმყოფება როგორც კომუნალური მეურნეობის ორგანოების უშუალო გამგებლობაში, ისე იმ სახელმწიფო დაწესებულებათა გამგებლობაში რაც ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ანგარიშზე ინახება, გაიწევა ამ მიზნებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი თანხებიდან.

საბინაო და კომუნალური მეურნეობის დანარჩენი ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების ხარჯები გაიწევა ამ ქონების მოსარგებლეთა და მფლობელთა ანგარიშზე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ დაწესებული მიზნობრივი გამოსაღების განაკვეთების მიხედვით, იმ საზღვრითი განაკვეთების საფუძველზე, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 19 აგვისტოს დადგენილებით „ქალაქებში, საკუროორტო სააგარაკო და მუშათა დაბებში სახლებისა და სხვა შენობათა მიწების და კომუნალურ ნაგებობათა ტექნიკური აღრიცხვის ვადებისა და აღრიცხვის საჭიროებისათვის მიზნობრივი გამოსაღების საზღვრითი განაკვეთების დაწესების შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1938 წ. № 5, მუხ. 17).

ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების სამუშაოთა ასანაზღაურებლად მიზნობრივი გამოსაღების განაკვეთები (მუხ. 22) დაწესდება სამუშაოთა თვითღირებულების ანაზღაურების პრინციპის მიხედვით და დიფერენცირებულ უნდა იქნას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ აღსარიცხავი ქონების მოსარგებლე და მფლობელ მშრომელთა მატერიალურ მდგომარეობის მიხედვით.

24. ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების სამუშაოთა ასანაზღა-

ურებლად მიზნობრივი გამოსაღები ქონების მოსარგებლეთ და მფლობელთ ნა-
დახდებათ ორ ვადაში:

ა) ქონების ტექნიკური აღრიცხვის და შეფასების დაწყებისას გამოსაღების თანხის 50%-დან 75%-მდე;

ბ) სამუშაოთა დამთავრების შემდეგ-დანარჩენი ნაწილი.

უკეთუ სასყიდელი შეტანილი არ იქნა დაწესებულ ვადაზე, იგი გადაიხდევინება სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერით, რაც გაუკეთდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს სათანადო კომუნალური განყოფილების შეტყობინებას იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების „ა" კარის 33 მუხლით, რა დადგენილებითაც დამტკიცებულია იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებითაც გადახდევინება სწარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერებით (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 33, მუხ. 254).

25. ქალაქებში, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში საბინაო და კომუნალური მეურნეობის ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების სამუშაოთა ასანაზღაურებელი მიზნობრივი გამოსაღების თანხები შეადგენენ მშრომელთა დეპუტატების სათანადო ადგილობრივი საბჭოს სპეციალურ სახსრებს და დანიშნულია მარტოოდენ ამ ქონების ძირითადი და მიმდინარე ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების საჭიროებისათვის.

ამ სახსრების ხარჯვა სწარმოებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების შესახებ არსებული დებულებით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 3 ნოემბრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 30, მუხ. 176; 1937 წ. № 4, მუხ. 30).

VII. ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების ჩასატარებლად საჭირო სამუშაოების ორგანიზაცია.

26. ქალაქებში, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში საბინაო და კომუნალური მეურნეობის ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების სამუშაოებს ასრულებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კომუნალური განყოფილებანი; როგორც წესი ამ სამუშაოთა ჩატარება სწარმოებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სათანადო საწარმოო ორგანიზაციების მეშვეობით უკანასკნელებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე და ადგილობრივი საბჭოების უშუალო ხელმძღვანელობით.

27. ქალაქებში, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში საბინაო და კომუნალური მეურნეობის ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების სამუშაოთა ჩატარებას საერთო ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი ტექნიკური აღრიცხვის იმ ცენტრალური ბიუროს მეშვეობით, რომელიც მასთან ეწყობა. ტექნიკური აღრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვის ცენტრალური ბიუროს აპარატის დაკომპლექტება მოხდება სახალხო კომისარიატის ხაზით დამტკიცებული შტატის ფარგლებში.

28. იმ ქალაქებში, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბებში, რომლებშიაც პირველად სწარმოებს მთლიანი საქალაქო აგეგმვა ან ქალაქის ტექნიკური აღრიცხვა, სავალდებულოა ერთსადაიმავე დროს ჩატარდეს ორივე სახის სამუშაოები ერთმანეთთან მტკიცედ შეთანხმებით, აგეგმვის სამუშაოთა წარმოების პროგრამის, კალენდარული გეგმისა და მასშტაბის მიხედვით.

VIII. ტექნიკური აღრიცხვის მასალების გამოყენება.

29. თითოეული ქალაქის, მუშათა, საკურორტო და სააგარაკო დაბის მიხედვით ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების შედეგების ნაკრებ ცნობებს (მუხ. 11) ამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების სათანადო ადგილობრივი საბჭოები და ამ უკანასკნელთა კომუნალური განყოფილებანი წარუდგენენ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს რესპუბლიკური ნაკრები ცნობის შესადგენად.

30. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი ქონების ტექნიკური აღრიცხვისა და შეფასების შედეგების შესახებ მის მიერ რესპუბლიკის მიხედვით შედგენილ ნაკრებ ცნობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ამასთან აღრიცხვის შედეგებს იმავდროულად აცნობებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს.

31. იმ დროს, როდესაც ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს, სახელმწიფო დაზღვევის, სახალხო მეურნეობის აღრიცხვის და სხვ. ორგანოებს ესაჭიროებათ ქონების მდგომარეობისა და შეფასების შესახებ ისეთი დაწვრილებითი ცნობების მიღება, რომლებსაც არ შეიცავენ ამ დებულების წესით შედგენილი ნაკრები ცნობები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სათანადო კომუნალური განყოფილებანი აწარმოებენ აღრიცხვის მასალების საჭირო დამუშავებას, ამასთან დაკავშირებული დამატებითი სამუშაოების თვითღირებულების ანაზღაურების საერთო საფუძვლებზე.

32. ამ დებულების განსავითარებლად საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით გამოსცემს ინსტრუქციას.

4
РУСТ 33,35
Б,КЕ ИМЭЛ
1 12 СБ ГР 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

БИБЛИОТЕКА ИМЭЛ при ЦК ВКП

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „კომუნისტის“, პოლიგრაფიული კომბინატი, ლენინის ქ. № 28.

მთავლ. რწმ. № კ—490 შეკვ. № 702 ტირაჟი 2000